

სხელი სარსაზუელი

389 (20) 29 ოქტომბერი, 2018 წ.

სარაგაულში მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღმართა

21 ოქტომბერს ხარაგაულში მაცხოვრის შობის მშენებარე საკათედრო ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღმართა. ჯვრის კურთხევისას ლოცვა აღავლინა და ტაძრის ეზოში შეკრებილი მრევლი დალოცა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკმა (ხაჩიძე). მეუფემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობდა: „მადლობა მინდა, გადაგიხადოთ უფლისა და ეკლესიის მიმართ უდიდესი სიყვარულისთვის. ძალიან მალე ტაძრის მოპირკეთება დასრულდება და ეკურთხება. ღვთის წყალობით, ყველა დავესწრებით ამ უდიდეს დღეს. საუკუნეების განმავლობაში მოიხსენიება ამ წმინდა ტაძრის მშენებლობაში მონაწილეთა სახელები. მადლობა ხელისუფლებას, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, ჩვენ გვერდით ყოფილიყო.“ - აღნიშნა მეუფე მელქისედეკმა.

ჯვრის აღმართვის ცერემონიას ეპარქიის მღვდელმსახურები, ეკლესიის მრევლი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თითქმის ოცი საუკუნის განმავლობაში ხარაგაულში ტაძარი არ იყო, დაბაში მხოლოდ სამლოცველო სახლი ფუნქცი-



ონირებდა, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ვარძიის მღვდელმსახურთა ოჯახში აღზრდილმა რომანოზ დეკანოძემ თავისასვე სახლში გახსნა. მისი ფუნქციონირება დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოთა წყობილებამ ამ შენობაში სახელმწიფო სტრუქტურები განათავსა. სამლოცველო სახლის აღდგენა გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა.

ხარაგაულში მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძრის მშენებლობას საფუძველი 2007 წელს ჩაეყარა, რომელიც უშუალოდ რაიონის მაშინდელ ხელისუფალთა - კიპაზო გამრეკელაშვილის, თორნიკე ავალიშვილისა და პარლამენტარ ჯაბა მაღლაკელიძის დამსახურებით მოხდა. ფონდის დირექტორად ცეზარ ბუბულაშვილი აირჩა.

ტაძარი ძირითადად შემონირულობებით შენდებოდა, მშენებლობაში აქტიურად იყო ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია. როგორც ფონდის ხელმძღვანელი ცეზარ ბუბულაშვილი აღნიშნავს, ტაძრის მშენებლობა თავდაპირველად 161 ლარის



შემონირულობით დაიწყო, რომელიც სამლოცველო სახლიდან მამა ფილიპემ (აბაშიძე) გადასცა.

ბატონ ცეზარის ინფორმაციით, ტაძარს ამ დრომდე 124 000 შემონირველი ჰყავს და მშენებლობის დაწყებიდან დღემ-

დე შემონირულობებმა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდირებამ 572 ათასი ლარი შეადგინა.

„ბევრი პიროვნება და ოჯახი ჩართული ტაძრის მშენებლობაში, როგორც ხარაგაულიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან. საზღვარგარეთ ნასული ჩვენი თანამემამულენი გვეხმარებიან და სურთ, თავიანთი მოქრძალებული წვლილი შეიტანონ ამ სასიკეთო საქმეში. მათი შემონირულობებით დამზადებული ხატები, ბარელიეფები და ძველი ქართული ორნამენტების ჩუქურთმებით შესრულებული კომპოზიციები ამშვენებს ტაძარს. მშენებლობის პარალელურად მზადდება დოკუმენტური წიგნი და ვცდილობ, ყველა მონაწილის წარმოჩენას, რათა შთამომავლობამ იცოდეს, ვის რა წვლილი აქვს გაღებული. წინ კვლავ ბევრი სამუშაო გვაქვს და იმედი, ღვთის ნებით, ტაძარი მალე ჩადგება მრევლის სამსახურში.“ - აღნიშნა ცეზარ ბუბულაშვილმა და აქვე მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც შესანიშნავი გაილა და ფიზიკურად იმუშავა მშენებლობაზე.

მკა შაჰიძე

სიღარო დაწვითი განათლების ასაჩი საჯარო სკოლა გაიხსნა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში დაწყებითი განათლების ახალი საჯარო სკოლა გაიხსნა. მცირეკონტიგენტიანი სკოლა 20 აღსაზრდელზეა გათვლილი და თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვა. სკოლის ახალი შენობა მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურაძემ, მოადგილე არჩილ მაღრაძემ, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა

ლურსმანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ და სხვ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა ზვიად როსტომაშვილმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს. შენობა აგებულია თანამედროვე, ენერგოეფექტური და უსაფრთხო სამშენებლო მასალით. პროექტი მოიცავს სარეკრეაციო სივრცეს, სადაც განთავსებულია აქტივობის კუთხე, მცირე ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო.

შეგახსენებთ, რომ ხიდრის დაწყებითი განათლების სკოლის შენობა ამ დრომდე ავარიულ მდგომარეობაში იყო და პედაგოგებს რთულ ვითარებაში უწევდათ სასწავლო პროცესის წარმართვა. აღსანიშნავია, რომ სრულად მოხდა ძველი შენობის დემონტაჟი და ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა აშენდა. პრობ-

ლემის მოგვარებაში, რომელიც სოფელს წლების განმავლობაში აწუხებდა, აქტიურად იყვნენ ჩართული ხიდრის საჯარო სკოლის დირექტორი ეთერ პაპავა, თემის მაჟორიტარი დეპუტატი ნონა ზურაბიანი და ადგილობრივი ხელისუფლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები.

როგორც ქალბატონმა ეთერმა აღნიშნა, პროექტის განხორციელებაში უდიდესი წვლილი საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და ადგილობრივ თვითმმართველობას მიუძღვის. მისივე განმარტებით, დაწყებით სკოლაში სულ 16 მოსწავლეა, რომლებიც სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე ხიდრის საჯარო სკოლის მთავარ კორპუსში აგრძელებდნენ სწავლას. პაპავას განცხადებით, სკოლა 90 წელზე მეტს ითვლის და ახალი შენობის აგება სოფლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

შეგახსენებთ, რომ პროექტის ღირებულება საჯარაუდოდ 400 ათასი ლარია და სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „ელ ჯორჯიამ“ შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ ხიდარში საგანმანათლებლო დაწესებულებამ პირველად 1912 წელს დაიწყო ფუნქციონირება. 1963 – 1964 წ.წ. კი ხარაგაულის რაიონის პარტიის რაიონის პირველი მდივნის ლევან ბერაძისა და ხიდრის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გრიგოლ (ჯონდო) ბერაძის თაოსნობით, სოფელში სკოლის ახალი შენობა აიგო. ამჟამად ხიდრის საჯარო სკოლაში 62 მოსწავლეა. პედაგოგების რაოდენობა კი 18-ს შეადგენს. საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა პროექტში, ჰყავთ სერტიფიცირებული პედაგოგები. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ყოველწლიურად უმჯობესდება და ღამაზდება.

მკა შაჰიძე

პიუჩოს სფოქსა ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი

15 ოქტომბერს გამართულ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ცხრა თვის განმავლობაში 1801 ბენეფიციარს გაეწია დახმარება, რომლის საერთო ღირებულება 434 800 ლარს შეადგენს. ნანა კიკნაძემ ვრცლად ისაუბრა ასევე „სათნოების სახლის“ მომსახურებაზე და აღნიშნა, რომ უფასო სასადილოში ამჟამად 73 ბენეფიციარია, რომელთა რიცხვში სოციალურად დაუცველები, მზრუნველობამოკლებული მოხუცები, ინვალიდები და მრავალშვილიანი ოჯახები არიან.

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, დავით კიკნაძე დაინტერესდა, გაიცა თუ არა მიმდინარე წელს ერთჯერადი ფინანსური დახმარება. მისი თქმით, ხარაგაულში მძიმე სოციალური ფონი და ამ მიმართულებით, მომავალი წლის ბიუჯეტში დამატებითი თანხების გათვალისწინება უნდა მოხდეს.

როგორც ნანა კიკნაძემ განმარტა, ერთჯერად ფინანსურ დახმარებებზე მერიაში ძალიან ბევრი განცხადება შემოდიხ და ამას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ წვდება. „სამწუხაროდ, მოიმატა ონკოლოგიური ავადმყოფებისა და ოპერაციების დაფინანსებაზე მოქალაქეთა მომართულობამ და ძირითადი თანხები, რომელიც სოციალური მიმართულებებისთვის იყო გათვალისწინებული, აღნიშნულ სამედიცინო მომსახურებებზე გაიხარჯა,“ - აღნიშნა ნანა კიკნაძემ.

სხდომაზე საუბარი შეეხო სოფლის სამედიცინო



ამბულატორიებს. კეთილმოწყობის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მაღალაზ ფხაძემ წყალაფორეთის საექიმო ამბულატორიაში სარემონტო სამუშაოების საჭიროებაზე ისაუბრა. აქვე დეპუტატების უმრავლესობამ, აღნიშნა, რომ რამდენიმე სოფლის ამბულატორიის ექიმები სხვა სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობის გამო ხშირად არ არიან ამბულატორიაში, რის გამოც სოფელში პაციენტები სათანადო სამედიცინო მომსახურებას ვერ იღებენ.

ბიუროს წევრებმა ასევე სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე გაამახვილეს ყურადღება. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში ბევრი უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი ფულად დახმარებას ვერ იღებს და ეს საკითხები დასალაგებელია.

დეპუტატთა სურვილია, მომავალი წლის ბიუჯეტში სოციალური მიმართულებებით თანხები გაიზარდოს.

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიშის შესახებ ვრცლად 5 ნოემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

BLACK SEE GROUP-ი ანგარიში ახალი წლის რაზონიდან



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურაძემ მოადგილე, თემურ ჩხეიძესთან, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროს თემურ თაბუკაშვილთან და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროს ჯაბა ბერაძესთან ერთად, ძირულა-მოლითის გზის მშენებელი კომპანიის Black see group-ის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მუშაობის პროცესში გასათვალისწინებელ ფაქტორებსა და გარემოებებზე ისაუბრეს. კომპანიამ ძირითადი სამუშაოები სოფელ ძირულის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე დაიწყო. Black see group-ის წარმომადგენლების ინფორმაციით, რამდენიმე დღეში ძირულა-ლაშის მიმდებარე ტერი-

ტორიაზე, სამ ლოკაციაზე, საყრდენი კედლების მშენებლობა დაიწყება.

სრული დატვირთვით მუშაობზე ხარაგაულსა და საღანძილეში განთავსებული მინი საწარმოები, რომლებიც მშენებლობისთვის საჭირო ქვა-ლორს ამუშავენ და გზის სავალი ნაწილის დამცავ ბორდიურებს ასხამენ.

როგორც შეხვედრაზე აღნიშნეს, კომპანია, ასფალტის საფარის დაგებაზე, მუშაობის პროცესში, პერიოდულად უზრუნველყოფს გზების შეკეთებას, რათა ტრანსპორტმა უსაფრთხოდ გადაადგილება შეძლოს.

მიყვარს ბრძოლა, შრომა და ამიტომაც ხშირად ვაღწევ მიზანს..



ვარძია თაფისი ისტორიითა და ლამაზი ბუნებით ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. მისი მშენებელი ლეონტიძის სახელობის ეკლესიაა, რომლის აგებაც თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. ეს დიდებული ტაძარი საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო ზემო იმერეთში. ხალხმრავალი სოფელი დღეს შედარებით დაცლილია. თუმცა ბოლო პერიოდში სოფელში იმდენი სასიკეთო საქმე გაკეთდა, ბევრი ადამიანი დაუბრუნდა მამაპაპისეულ კარს. მოქალაქეთა ყოველდღიური ყოფა თანდათან უმჯობესდება, მაგრამ პრობლემები კვლავ ბევრია. მერის წარმომადგენელი ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მზესალა გლუნიჩაძე,

პირადად გვესაუბრება, თუ რა გაკეთდა და რისი განხორციელება იგეგმება უახლოეს მომავალში ვარძიაში.

- საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა, იყო მერის წარმომადგენელი ისეთ სოფელში, როგორც ვარძიაა, როგორ შეაფასებთ თქვენი მუშაობის ოთხ წელს?

- ჩემი მთავარი საფიქრალი ხალხზე ზერუნვა და მათი დახმარებაა. 2014 წლიდან, როდესაც დავინიშნე გამგებლის წარმომადგენლად, უფრო მეტად მომეცა შესაძლებლობა, ბევრი გამეკეთებინა ამ დიდებული სოფლისთვის. დაგეთანხმებით, საქმიანობა ნამდვილად რთული და შრომატევადია, მაგრამ ძალიან რისკიანი ადამიანი ვარ. როდესაც მიზანს დავისახავ, არასოდეს ვფიქრობ იმ დაბრკოლებებზე, რაც შეიძლება შემხედვს. მიყვარს ბრძოლა და ამიტომაც ხშირად ვაღწევ მიზანს. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში ცენტრალური გზა მოასფალტდა, შიდა საუბნო გზები ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და ეტაპობრივად დავინიშნე აღდგენა. მოგეტყვინებ სოფლის პირველი უბნის 500 მეტრიანი გზა, ასევე მესამე უბანში ბეტონის საფარი დაიკო გზის 500 მეტრიან მონაკვეთზე. ტენდერი იყო გამოცხადებული და გამარჯვებული კომპანიაც გამოვლინდა მესამე უბანში 900 მეტრიანი გზისა და მეორე უბანში 670 - მეტრიანი გზის შეკეთებაზე. იგეგმება სოფლის ტაძართან მისასვლელი მთავარი გზის მოგებინებაც, ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი

ლი ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციისთვის პროექტები მზადაა. ერთი უკვე დაფინანსდა და დანარჩენიც ეტაპობრივად გაკეთდება. დაგეგმილია პირველ უბანში სოფლის ნისკვილის მოწყობა და ხიდ-ბოგირის აღდგენა. გვაქვს იმედოვნება, რომ უახლოეს პერიოდში გაგრძელდება სოფლების გაზოფიცირება და ვარძიის მოსახლეობაც მიიღებს ბუნებრივ აირს, რაც კიდევ მეტად შეუწყობს ხელს სოფელში ადგილობრივების დაბრუნებას. ყველა უბანში განთავსებულია ნავთის ურნები და სასიხარულოა, რომ ამან არადაკალურად გააუმჯობესა არსებული ეკოლოგიური გარემო. მართალია, ბევრი კარგი რამ გაკეთდა ვარძიაში, მაგრამ გასაკეთებელი და პრობლემები მაინც ბევრია.

- სოფელი დიდია, შესაბამისად პრობლემებიც მეტი იქნება. რა აწუხებს ვარძიის მოსახლეობას ყველაზე მეტად?

- ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც დღეს სოფლის მოსახლეობას აწუხებს, უმუშევრობაა. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში 55 - 60 წლის ადამიანები არიან, რომლებსაც არ აქვთ სამსახური, ვერ იღებენ პენსიასა და სოციალურ დახმარებას. არც სოფელია ისეთი უზენაესი, რომ ადამიანს მხოლოდ მეურნეობით შეეძლოს ოჯახის რჩენა. სოციალური პროგრამები, რომელიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება, მოიცავს ისეთ ოჯახებს, სადაც არიან ბავშვები, ასევე ფინანსური დახმარება ეწევათ მარტოხელა მშობლებს, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, ვახორციელებთ მედიკამენტებით დახმარების

პროგრამასაც. „სათნოების სახლის“ მხარდაჭერით საკვები პროდუქტებით ვეხმარებით ადამიანებს. სოფლის მესხუ-ნი და პირველ უბნებში არის მენყრული ადგილები და საფრთხე შეექმნა რამდენიმე ოჯახს. მერიის შუამდგომლობით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ერთ ოჯახს უკვე შეუძინა საცხოვრებელი ფართი და გვპირდებიან, სხვა ოჯახებსაც გაუწევენ დახმარებას. მერიის უშუალო მხარდაჭერით გადაიხურა რვა ოჯახის საცხოვრებელი სახლი.

პრობლემებია სასმელი წყლის სისტემებთან დაკავშირებითაც. უახლოეს პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლებით დახმარებით მოხდება წყლის სათავე-ნაგებობების შეკეთება, შევიძენთ მილებს და თითქმის სოფლის ყველა უბანს სასმელი წყალი მივწოდებ.

იგეგმება ასევე სკოლის ტერიტორიაზე სპორტული მოედნის მოწყობა. დიდი სურვილი გვაქვს, გაკეთდეს სოფლის ცენტრალური გზის განათება და იმედს ვიტოვებ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. მანუხებს ძალიან, რომ არ გვაქვს საექტო დარბაზი და ბიბლიოთეკის შენობა. მიზნად, ავგინიშნო, რომ ვარძიის სკოლისა და ბაღის პედაგოგების ერთგული შრომა გულწრფელ მადლიერებას იმსახურებს თითოეული თანასოფელისგან. ამ სასკოლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში დიდი როლი შეასრულეს სოფლის ცხოვრებაში.

- მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა, რა მდგომარეობაა თქვენს ადმინისტრაციულ ერთეულში?

-სოფელში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია მთელი წლის განმავლობაში როგორც მოსახლეობისთვის, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისთვის. მწერმა დიდი ზიანი მიაყენა ბალ-ბოსტნებს, განსაკუთრებით თხილს და სიმინდს. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, დაურიგდა ბუკლეტები, სადაც მითითებულია, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ფაროსანას ადგილობრივი ძალებით. თერმული ნისლით მრავალჯერ დამუშავდა სოფლის ყველა უბანი. ვფიქრობ, ამან მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. მოსახლეობამ სიმინდის მოსავალი მიიღო, რასაც ვერ ვიტყვით თხილზე.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და რას უსურვებდით თანასოფლელებს?

- ბევრი კარგი იდეა მაქვს სოფლისთვის, ყველაფერს, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებ, მაგრამ თავს არ დავზოგავ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ ბედნიერ და უზრუნველ ცხოვრებას. თანასოფლელებს ვუსურვებ, ყოველთვის ჰქონდეთ უკეთესი მომავლის იმედი, იყვნენ ოპტიმისტები, იმართონ მეტი და იბრძოლონ, უკეთესი ხვალისდელი დღისთვის. ჩვენი ქვეყნის მომავალი, თითოეულ ჩვენგანზე დამოკიდებული. ეს უნდა გვესმოდეს და ისე ვიცხოვროთ, რომ საკუთარ სამშობლოს და რწმენას არ ვუღალავოთ!

ლელა გუბულაშვილი

საარჩევნო სისტემაში რეალური შედეგების დადგენა

15 ოქტომბერს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების „საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელეს. საკითხი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმას შესაძლოა, დაემსხრებოდეს მთელი მუნიციპალიტეტის მერიის თაღან-რეისი უფროსი შემდეგი უძრავი - მოძრავი ქონება: სოფელ თეთრანყაროში მდებარე 2830 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი, რომელიც 8200 ლარადაა შეფასებული; დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N105-ში მდებარე 6579 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 394,56 კვ.მ (ღირებულება 66000 ლარი) და სოფელ სალანძლოს ტერიტორიაზე არსებული 286-მეტრიანი სიგრძის რკინის მილები (ღირებულება 10 ათასი ლარი).



თეთრანყაროში მდებარე 2830 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ითარ ლურსმანაშვილმა. მისი განცხადებით, სოფელი აღნიშნულ მონაკვეთს პირუტყვის საძოვრად იყენებს და ეს გადაწყვეტილება მოსახლეობასთან უნდა იყოს შეთანხმებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ საკითხის შესწავლა ზედამხედველობის, კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დაავალა.

დამატება თუ არა ზემოხსენებული ობიექტები საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმას, ამის შესახებ დეპუტატები გადაწყვეტილებას 5 ნოემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე მიიღებენ.

თამარ მაღრაძე

სოფელში უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში პროფესორმა მერაბ ბერიძემ, სამცხე - ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა ციური ლაფაჩმა, პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა ზაზა თამარაშვილმა, სახალხო მთქმელმა ვასილ კეიქელაძემ და ბოლოს ნუგზარ თამარაშვილმა სიურპრიზი დაახვედრა ქალბატონ იზას - ტილო „ჩემი საქართველო აქ არის,“ სადაც ქალბატონი იზა, ულამაზესი ბუნების ფონზე, საგალობელს უმღერის თავის მამულს. მისადმი მიძღვნილ არაერთ მხატვრულ ტილოს შორის, ვფიქრობ, რომ ეს ნახატიც განსაკუთრებული ადგილს დაიჭერს. ვინატრებდი, მისი მსგავსი მამულიშვილები მრავლად ჰყავდეს ჩვენს საქართველოს და სათანადოდ ფასდებოდეს ის უნიკალური და საოცარი საქმიანობა, რომელსაც ეს ძვირფასი ქალბატონი ეწევა და რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. არაერთგზის თქმულა და მეც დავამატებ, ეს გახლავთ განსაკუთრებული ფენომენი, აზროვნებისა და მესხიერების საოცარი მასშტაბების შერწყმით. როგორც მიხილ თამარაშვილის შთამომავალმა, მინდა, მაღლობა გადავუხადო ლიტერატურული თეატრის არაჩვეულებრივ დასს და იმ რაიონს, იმ მხარეს, რომელმაც საქართველოს ასეთი ქალბატონი აღუზარდა.

მაღლიერება მინდა, გამოვხატო საოპერო ვარსკვლავის, ხარაგაულელ მამუკა ლომიძის მიმართ. ჯერაც არ გამწვანებია ის დადებითი ემოცია, რაც აბასთუმანში განცვიდაც მასთან შეხვედრით. დიდი სიამოვნებით მოველოდი ახალციხეში დღევანდელ საიუბილეო საღამოზე. ობიექტური მიზეზით მან ეს ვერ შეძლო. მახარებს მისი დიდი მამულიშვილური თანადგომა იზა ვეფხვაძის პატრიოტული საქმისადმი. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბატონმა მამუკა ლომიძემ უკვე მესამედ დააფინანსა საკუთარი ხარჯებით ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის ტრანსპორტირება.

ანზორ თამარაშვილი
ღირსების ორდენის კავალერი,
1999 - 2004 წლებში
მონვევის პარლამენტის წევრი, საკავშირო ფესტივალების ლაურეატი,
მიხილ თამარაშვილის ძმის შვილიშვილი

საარჩევნო „ეტალონის“ შესარჩევი ტური ჩატარდა



19 ოქტომბერს ხარაგაულის საჯარო სკოლებში ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონის“ შესარჩევი ტური ჩატარდა რომელშიც VIII - XI კლასის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. მათ სხვადასხვა სირთულის კითხვებზე მოუწიათ პასუხის გაცემა და, საერთო ჯამში, 73 მოტივირებული ახალგაზრდა შეირჩა.

გაგაცნობთ „ეტალონ მოსწავლეთა“ სიას: ლაშის საჯარო სკოლა: ლუკა ტაბატაძე, თორნიკე მოდებაძე, დიანა ლომიძე, სალომე კვირიკაშვილი, ნიკა ძიძიგური; ხუფის საჯარო სკოლა: დოდო ბლიაძე, ნანა ლომიძე, ნინო ლომიძე;

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა: ბარბარა ბარბაქაძე, სალომე გოგოლაძე, ანი ბლიაძე, გოჩა ლომიძე, ნიკა პაქსაშვილი, მარინა ლურსმანაშვილი;

ხევის საჯარო სკოლა: თამარ სამხარაძე, ლევან ხაჩიძე; უბისის საჯარო სკოლა: მარიამ სახვაძე, ანი სახვაძე;

მოლითის საჯარო სკოლა: მარიამ ყურაშვილი, ლიზა ლონდაძე, მარიამ ტალახაძე; მარელების საჯარო სკოლა: მარიამ ტაბატაძე, ლუკა ცისკაძე, ნონა ყიფიანი, მარიამ კოჩაძე;

დაბის N2 საჯარო სკოლა: ნია ფოფხაძე, გრიგოლ ხიჯაძე; ბორის სკოლა - პანსიონი: გიგა ბერაძე, ნუნუა ნინიალაშვილი;

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია: საბა ებანოიძე, მარიამ მანუჯიძე, ბაქარ ორბელიძე, ნინო მიქაბერიძე, მარიამ ტყეშელაშვილი, ანა მესხი, ნინო შველიძე;

ზვარის საჯარო სკოლა: ცოტნე თიკანაშვილი, თემიკო მაღლაკელიძე; ვარძიის საჯარო სკოლა: დავით კოჩაძე, მუ-

რადი ოკრიბელაშვილი;

დაბის N3 საჯარო სკოლა: ელენე ჩიჩილიძე, გურამ ლურსმანაშვილი, ანი მეიფარიანი;

ვახანის საჯარო სკოლა: რუსუდან ინასარიძე, თენგიზ ლომიძე, ბექა ჩხიკვაძე, ანი ინასარიძე;

სარგვეშის საჯარო სკოლა: შორენა ცისკაძე; წყალაფორეთის საჯარო სკოლა: ბესო სარალიძე;

ნადაურის საჯარო სკოლა: დათო გელაშვილი, მარიამ გელაშვილი; სალანძლოს საჯარო სკოლა: ნიკა კიკნაძე, დავით კამუშაძე;

ლორეთის საჯარო სკოლა: ელა რამიშვილი, მარიამ გაჩეჩილაძე;

ნიფის საჯარო სკოლა: დიმიტრი ლონდაძე, ნელი ლაცაშვილი;

ბორითის საჯარო სკოლა: მარიამ რიკაძე, თამარ გაჩეჩილაძე, სალომე რიკაძე, ნია გორგაძე, ეკა ბარბაქაძე;

კიციხის საჯარო სკოლა: ნანა მდინარაძე, ნინო გოლიბაძე, თამუნა ზვიდაძე, თორნიკე ბერაძე, ლუკა გაგომიძე;

ხიდრის საჯარო სკოლა: ლევან კაციტაძე, გიორგი ლელაძე;

ვაშლიშის საჯარო სკოლა: გიორგი მაჭარაშვილი;

ბაზალეთის საჯარო სკოლა: კესო ჩხიკვაძე; ლელვის საჯარო სკოლა: ნინო ვეფხვაძე, მარი მაღრაძე;

თუ ვინ მოიპოვებს ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლის“ ტიტულს, ამის შესახებ 6 ნოემბერს გახდება ცნობილი. კონკურსი ხარაგაულის კინოთეატრში გაიმართება, რომელსაც პროექტის ავტორი და წამყვანი გოჩა ტყემულაშვილი გაუძღვება.

თამარ მაღრაძე

ძეგლი - მარჯიერ სხოვნას, ძეგლი - ღვთიურ ნიჭიერებას...

როცა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრზე ვფიქრობ ან საგაზეთო სტატიას ვწერ, უმალ ვიხსენებ იმ შეფასებებს, რომლებსაც ცნობილი პიროვნებები აძლევდნენ ჭეშმარიტად ქართული საქმის ამ თვალსაჩინო კერას.

„უსაზღვროდ საჭირო ქართულ საქმეს აკეთებს ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი. მე სპექტაკლის მსვლელობისას არაერთხელ ვიკითხე: ეს რა ხდება?“ - გოცებებს ვერ ფარავდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ან განსვენებული, გოგი გეგეჭკორი.

ამგვარი შეფასება არაერთგზის გაცხადებულია რეალობაში, როცა იზა ვეფხვაძის ნიჭიერებით, პროფესიონალიზმითა და მესხიერების უკიდვარ სიერციტო გაოგებული მაყურებელი, ყოველგვარი შელამაზებისა და სიტყვების მოძიების გარეშე, გამოხატავს ნანახ-განცდილით გამოწვეულ ემოციას. ასე იყო იმ დღესაც...

„მკვდრებით აღგადგინა საქმენი შენი...“

1989 წლის 13 ოქტომბრიდან ტრაგიკულად ერთად ზნეობრივად ამამალელები დატვირთვა შეიძინა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითის იმ საბედისწერო ადგილმა, სადაც უბედური შემთხვევით აღესრულა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ნამებული ქართველი რაინდი, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა...

ამ ადგილს, როგორც სალოცავს, ისე მიეახლებიან მერაბ კოსტავას მარადიული ღვანლის დამფასებლები, მისი მარადიული ხსოვნის უკვდავყოფილები;

დიახ, მერაბ კოსტავა მკვდრებით აღადგინა მისმა საქმეებმა, იმ დიდმა სიცოცხლემ, რომელიც მამულის სიყვარულში წვეთ-წვეთად დაიღვენა სანთილოვით და შემდეგ ხსოვნის უქრობ ჩირაღდნად აბრიალდა ყველა ქართველის გულში...

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი ადამიანი ეწვია 13 ოქტომბერს ბორითში მერაბ კოსტავას ხსოვნის მემორიალს, მაგრამ მაინც გამორჩეული იყო ხარაგაულელთა მისია. ეს ზომ საკუთრივ ჩვენი მიწა და ჩვენი ცაა, სადაც მარადისობაში გადავიდა და ზეციურად ამაღლდა ნამებული მამულიშვილის წმინდა სული...



მემორიალთან მერაბის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა თბილისის თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონის წინამძღვარმა, მამა მირიანმა (სამხარაძე).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა: ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ თავიანთ გამოსვლებში შთამბეჭდავად ისაუბრეს მერაბ კოსტავას ღვანლზე ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ქართველი ერის გამოფხიზლებაში...

მხატვართა პლენერი

„გამა -2018“

ეს დღე გამორჩეული გახლდათ იმითაც, რომ სწორედ ბორითში ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა გახსნა მხატვართა პლენერი „გამა-2018“, რომელიც უკვე მესამე წელია, ტარდება ხარაგაულში. ამ დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 14 მხატვარი და ორი ხელოვნებათმცოდნე გვეწვია...

ნეტავ დრო გაჩერდეს...

მემორიალიდან საზოგადოებამ ბორითის კულტურის ცენტრში გადაინაცვლა, სადაც მათ ელოდათ მერაბ კოსტავას მიმდინილი იზა ვეფხვაძის საავტორო ლიტერატურული სპექტაკლი „საქართველოს მიმგელი სატყვარი“.

მაყურებლის ემოციებისა და შთაბეჭდილებათა გადმოსაცემად საკმარისია ცნობილი მხატვრის, კახა ხინგელის, მრავლისმთქმელი სიტყვები:

„სანახაობებზე 5-10 წუთზე მეტად ვერ ვძლებ. თითქმის არც ვაპირებდი სპექტაკლზე დასწრებას. მეგობარმა კოლეგამ, რომელსაც იზას არაერთი სპექტაკლი ჰქონდა ნანახი, მთხოვა, მხოლოდ რამდენიმე წუთით შევსულიყავი...“

ორიოდე წუთის შემდეგ გოცებული ვითხოვლობა: - ეს რა ხდება?

შაწიხიანი რაინდი ქალი მხატვრული სიტყვითა და ძლიერი ემოციით სცენიდან ცეცხლს ანთებს დარბაზში...

გადის 20, 40, 60 წუთი და ვნატრობ: ნეტავ დრო გაჩერდეს, ნეტავ არ დასრულდეს ყოველივე ეს... რა მოხდა ჩემში? ამას სიტყვებით ვერ გადმოვცემ, დაუჯერებელი რამ ვიხილე...

* * *

სპექტაკლის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა პლენერი. „გამა -2018- ის“ ორგანიზატორმა იზა ვეფხვაძემ სცენაზე მიიწვია პლენერის მონაწილე ცნობილი მხატვრები: ილია პატაშური, შალვა გერაძე, არჩილ კვესაძე, გურამ მღებრიშვილი, კახა ხინგელი, მაღნაზ მარლიშვილი, დავით ფიცხელაური, ალექსანდრე თოდუა, ალექსანდრე ციხელაშვილი, დავით სულაქველიძე, ლევან გოგიტაძე, თემურ თაღუმაძე, ზუგზარ ლაცაბიძე, სოლოკო ვირსალაძის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები: შოთიკო ჯავლიაშვილი და დავით ბარნაბიშვილი, მათი პედაგოგი, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე გუბაზ მეგრელიძე.

შემდეგ კი იზას მიწვევით სცენაზე აღიან მასპინძელ ოჯახთა წარმომადგენლები: ვანო და ანეზი ბარბაქაძეები, ნანა კურტანიძე და ანდრო ლარცულაიანი, კობა და ქეთევან გაჩეჩილაძეები, გივი და მანანა კურტანიძეები, რუსუდან ბლიაძე, ნაზი ბარბაქაძე, ბახვა და კლარა სამხარაძეები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში იმერული სტუმართმოყვარეობის ლაზათი უნდა აჩვენონ სტუმრებს...

სინანული



ლახდელი და უშუალო. ქალბატონი რუსუდანი მოყვა, თუ როგორ სძლია მასში დედის მონატრებამ შიში. ყოველივე ეს, ისე შთამბეჭდავად გვიამბო, რომ შთამაგონა ჩანახატი დამეწერა, სათაურით - „დედის ძახილი.“ ეს მასალა ხარაგაულის გაზეთში დაიბეჭდა. მასში ისე ნათლად ჩანს ქალბატონი რუსუდანის სპეტაკი სული, რომ მინდა, მკითხველს ამონარიდი შეეთავაზო:

„ქალმა სარკმელი მიხურა. გულმა მეორე ოთახისკენ გაუწია. მის სამ შვილს მშვიდად ეძინა. მაიკოს საბანი გადახდოდა, ბებიის შეკერილი საღამური მოუჩანდა... უეცრად მას დედის ხელების სითბო მოენატრა, ხმაც მოესმა დედის!

- ნათელა!

- ნათელა!

ოთახში მოუსვენრობა ჩასახლდა, ველარ ეტევა, ბორცვებს, ღამე ღამურასავით დაფრინავს, კედლებს ეხლებს.

ბოლო მატარებელს მივუსწრებ - გაიფიქრა ქალმა. მიმინარე მეუღლე შეღვიძა, რაღაცას დიდხანს ეჩურჩულებოდა...

ვარსკვლავები დასევია ცას, მდინარეშიც ირეკლება შუქი. მიდის ქალი სოფლის გზაზე, შუალაშა. რა ძლიერია დედა, დაავინება შიშიც, დალაც.

ვარსკვლავები დედის თვალების შუქი ჩამდგარა.

- შვილო!

- რა იყო, დედი?

პირობა ასეთი იყო: მხატვრები ერთ დღეში დახატდნენ ულამაზეს ხედებს; მეორე დღეს, 14 ოქტომბერს- სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე უბი-სის სამონასტრო კომპლექსთან პლენერის საზეიმო დახურვაზე წარმოადგენდნენ შექმნილ მხატვრულ ტილოებს და საჩუქრად გადასცემდნენ რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს, სადაც უკვე სამი წლის განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები იქნება დაცული...

თეატრი გეგმავს, როცა ნამუშევართა რაოდენობა გაიზარდება, ეს შესანიშნავი კოლექცია საქართველოს დიდი ქალაქების საგამოფენო სივრცეებში „ამოგზავნოს“.

„რა შეიძლება იმართოს ოქტომბრის თვეში...“

14 ოქტომბერს უბისაში პლენერის საზეიმო დახურვაში აქტიურად ჩაერთნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრისა და ინტელექტუალური წარმომადგენლები, რომელთაც მადლობის სიგელტოვან ერთად სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მოწვეულ სტუმრებს.

იმერული შემოდგომის ხეავი და ბარაქა თავს იწონებდა საკრებულოს თავმჯდომარის, ქალბატონ მანანა ბარბაქაძის, ფანტაზიით შექმნილ ულამაზეს სამყაროში, რომელსაც ხიბლს მატებდა ბუნებრივად უმშვენიერესი გარემო - უბისის მონასტრის იდუმალება და მდინარე ძირულას ჩუმი დუდუნია...

პლენერის ორდღიან იდილიაში განუზომელია ძირულის ხეობის ეკლესია-მონასტრების მრევლის წინამძღოლ მამა პეტრეს (კურტანიძე) წვლილი. სწორედ მისი თაოსნობით შეირჩა ყველა მასპინძელი ოჯახი.

უამრავ დღეთაგან ეს ორი დღე - 13 და 14 ოქტომბერი - ფრიად სამახსოვრო და ამაღლებულ დღეებად შევა ხარაგაულის კულტურული ყოფის მატიანეში.

... და კვლავ აეგო ძეგლი მარადიულ ხსოვნას, ძეგლი -ღვთიურ ნიჭიერებას...

მრავალი ასეთი შინაარსიანი და ემოციური დღე არგუნოს უფალმა ჩვენს ხარაგაულსა და ხარაგაულელებს!

მერი გიორგიძე

ჯცაჯც ბევრჯერ გვენახოს...



ანა პავლუკელი

რაც უფრო მეტად გიმძიმებს მხრებს ნელთა სრბოლა, მით უფრო გემატება ძალა და ენერგია, რომელიც შთამომავალთა წარმატებებიდან მოდის, -ემოციებს ვერ მალავს ერთ-ერთი კარგი ხარაგაულელი, ღვანლმოსილი პედაგოგი და მართლაც საბაყო შთამომავლობის პატრონი, ბატონი შაქრო ამაშუკელი, თან ხელში ჟურნალ „გზის“ 2018 წლის ოქტომბრის თვის პირველი ნომერი უჭირავს...

ვფურცლავთ ჟურნალს, რომლის ერთ-ერთ გვერდზე უმშვენიერესი გოგონას სურათს ვხვდებით.

-ეს ჩემი შვილიშვილი ანა ამაშუკელია, ის 19 წლია, ახლახან ჩინეთში მსოფლიო დონის სილამაზის კონკურსში, მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებული დაბრუნდა, -ამბობს ბედნიერი ბაბუა.

ვკითხულობთ ჟურნალს, ვეცნობით ანას მიზანსწრაფული ცხოვრების საინტერესო დეტალებს და გულწრფელად ვიზიარებთ შაქრო ბაბუს სიბარულს.

შაქრო ამაშუკელის ხარაგაულელ შვილიშვილებს რეზო და ანა დეკანოსიძეებს- აღზრდითა და კარგი სწავლით გამოჩენილებს, საზოგადოების წინაშე წარდგენა აღარ სჭირდებათ; სასიხარულოა, რომ ხარაგაულელ-თბილისელი შვილიშვილებიც - მაია, დემნა და ანა ამაშუკელები - შინაარსიან და საინტერესო გზებზე სვლით ლამაზად წერენ თავიანთ ბიოგრაფიას...

და რამაც ყველაზე მეტად გაგვახარა აღნიშნული სტატიიდან, ეს ანა ამაშუკელის სიტყვებია, რომელსაც იგი სამომავლო კონკურსების წინ აცხადებს: - იმედი მაქვს შევძლებ, საქართველო ყველგან და ყოველთვის ღირსეულად წარვადგინო!

კეთილი იმედის ფრთებშესხმას გისურვებთ, ჩვენო ანა, ბევრჯერ, კვლავაც ბევრჯერ გვენახოს შვილიშვილების წარმატებებით გახარებული თქვენი კეთილი ბაბუა- შაქრო ამაშუკელი!

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

„ვიცნობდეთ ხარაგაულის“ ფინალისტების ვინაობა ცნობილია

ხარაგაულის კინოთეატრში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მონაწილეობით ინტელექტუალური თამაშის - „ვიცნობდეთ ხარაგაულს“ ნახევარფინალური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც სალანდილის, ლამის, დაბის მეორე და მესამე საჯარო სკოლების და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის გუნდები მონაწილეობდნენ. გამარჯვებული გიმნაზიის გუნდი გახდა. ფინალური შეხვედრა დეკემბრის ბოლოს გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დროს, შეჯიბრის პირველ ადგილზე გასული გუნდები: ბორის სკოლა-პანსიონი, ვერტყვიჭალა, მოლითი და მარელისი.

„ვიცნობდეთ ხარაგაულს“ - იდეის ავ-



ტორი მამუკა ჭიპაშვილი გახლავთ და პროექტი უკვე მეხუთე წელია, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრისა და ა(ა)იპ „სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ ერთობლივი ორგანიზებით მიმდინარეობს.

ეკატერინა სასხოცო სპორტული ოცნებებიდან დასრულდა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და სპორტისა და ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის მხარდაჭერით ხარაგაულში სასკოლო-სპორტული ოლიმპიადი ტარდება, რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას.

23 ოქტომბერს კალათბურთის ჩემპიონატი გაიმართა და გოგონებს შორის

პირველი ადგილი N3 საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა, ხოლო ვაჟებს შორის გამარჯვება ვერტყვიჭალის გუნდმა მოიპოვა.

ალსანიშნავია, რომ გამარჯვებული გუნდები იმერეთის მასშტაბით გამართულ რეგიონულ თამაშში მიიღებენ მონაწილეობას.

შემდეგი თამაში მინი ფეხბურთში 1-2 ნოემბერს, ხოლო „მხიარული სტარტები“ 9 ნოემბერს გაიმართება.

სამადლობელი

სოფელ ფარცხნალის, ბარის უბნის, მცხოვრებლები დიდ მადლიერებას გამოვხატავთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, ბატონ ნიკოლოზ თოფურიძის, მიმართ, რომელმაც გულთან მიიტანა ჩვენი თხოვნა და სწრაფი რეაგირებით მოხდა ჩვენს უბანში დაზიანებული გზის შეკეთება.

„რა? სად? როდის?“ ჩემპიონატი N2 საჯარო სკოლის გუნდი საქართველოს მასშტაბით ათეულში მოხვდა



13 ოქტომბერს „შუალინგ თბილისში“ ინტელექტ-ჩემპიონატის „რა? სად? როდის?“ ფინალური ეტაპი გაიმართა. ქვეყნის მასშტაბით ხარაგაულის N2 საჯარო სკოლამ ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა და მეცხრე ადგილზე გავიდა. ჩემპი-

ონატში წარმატებული მონაწილეობისათვის სკოლას სიგელი გადაეცა. იმერეთის რეგიონის პრიზი კი ქართულ-ამერიკულმა სკოლა „პროგრესმა“ მიიღო.

ინტელექტუალურ თამაშში 73 მუნიციპალიტეტის 77 სკოლის გუნდი მონაწილეობდა, თითოეული ექვსი ძირითადი და ორი სათადარიგო მოსწავლისაგან შედგებოდა. გამარჯვებულ გუნდებს ბიბლუსის სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ.

შეგახსენებთ, ინტელექტ-ჩემპიონატის „რა? სად? როდის?“ შესარჩევი ეტაპი ხარაგაულის სკოლებს შორის ზაფხულში ჩატარდა, რომელშიც გამარჯვება N2 საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა.

„ხარაგაულის ქრონიკები“ 500 ხელმომწერს ელოდება

როგორც ცნობილია, ახალ გამოცემას დაემატება 50 გვერდი და იქნება 570 - გვერდიანი, სქელი ყდით, ხარისხიანი ფურცლებით, ფერადი ჩანარებით (ფოტოები, მაღალი დონის რუკები).

ხელის მონერა ინარმოებს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ტელ: 5 93 73 17 59).

როგორც ქ. ქუთაისის გა-

მომცემლობა „სომელი ენის“ მენეჯერი ნ. ჭანტურია განმარტავს, 300 ხელმომწერის შემთხვევაში ერთი ეგზემპლარის ფასი 25 ლარი იქნება, ხოლო თუ ხელმომწერთა რიცხვი 500 გახდება, მაშინ წიგნს 20 ლარად შევიძენთ.

იქქარეთ, „ხარაგაულის ქრონიკები“ 500 ხელმომწერს ელოდება!

დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ხარაგაულებმა ევხემ შევიძიებთ გამარჯვება

ონში გამართულ დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ხარაგაულის სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის სპორტსმენმა ევხემ შევიძიებთ 79 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა. პირველი ადგილის მფლობელ ევხემს (მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი) ოქროს მედალი, სიგელი და თასი გადაეცა.

ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში მეთხუთმეტე წელია, ტარდება. მიმდინარე წელს იგი ონის სახალხო დღესასწაულს „ონელობა 2018-ს“ დაემატება.

შეგახსენებთ, რომ დავით გობეჯიშვილი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის გამარჯვებული და სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. მისი სახელობის ტურნირში ქართველ სპორტსმენებთან ერთად კი აზერბაიჯანისა და რუსეთის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ.



მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალურ პროგრამებზე 434 800 ლარი გახარჯა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ, 9 თვის მონაცემებით, სოციალურ პროგრამებზე 434 800 ლარი გახარჯა. აღნიშნული თანხა სხვადასხვა სოციალური პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფა და ჯამში 1801 ადამიანს გაენია დახმარება.

- სამედიცინო კვლევებისა და მომსახურებისთვის შემოსულ 489 განცხადებაზე 466 მოქალაქეზე გაიცა დახმარება (თანხა 214 186 ლარი);
- სამედიცინო კვლევებისა და მომსახურებისთვის 431 ბენეფიციარს გაენია დახმარება 185 657 ლარით;
- მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაენია 188 მოქალაქეს, თანხით -38 260 ლარი;
- C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად დახმარება გაენია 11 მოქალაქეს, თანხით - 2096 ლარი;
- სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარება გაენია სოციალურად დაუცველ 27 გარდაცვლილის ოჯახს თანხით -5 700 ლარი;
- ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირთა (15 პიროვნება) ტრან-

სპორტირება დაფინანსდა 12 600 ლარით;

- ლეიკემიით დაავადებულებზე გაიცა დახმარება 1500 ლარი (4 ბენეფიციარი).
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაენია 2 მოქალაქეს, თანხით-350 ლარი;
- „ალილოს“ დღესასწაულთან დაკავშირებით, სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ 60 ოჯახს გაენია დახმარება. შეძენილ იქნა 1500 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტები;
- მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად დახარჯულია 5900 ლარი (25 ოჯახი);
- ომის ვეტერანების კომუნალური ხარჯებისათვის გაიცა 2610 ლარი (8 ადამიანი);
- უსინათლოთა კავშირის წევრ მოქალაქეების კომუნალური ხარჯებისათვის- 18 630 (72 პიროვნება);
- დაუნის სინდრომისა და აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით 7 ბენეფიციარს გაენია დახმარება (თითოეულს 100 ლარი) - 700 ლარის ოდენობით;
- შშმ პირთა დასახმარებლად დაიხარჯა 6943 ლარი (15 ბე-

ნეფიციარი);

- კონსერვული იმპლანტით მოსარგებლე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ელემენტის შესაძენად დახარჯულია 3 990 ლარი (4 ბენეფიციარი);
- 100 წელს მიღწეულთა ფინანსური დახმარება გაიცა 1000 ლარი (2 პიროვნება);
- 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დარბევების შედეგად დაზარალებულ 2 მოქალაქეს გაენია დახმარება 600 ლარით (თითოეულს 300 ლარი);
- ჩერნობილის ა/ე აფეთქების შედეგად დაზარალებულ 8 მოქალაქეს - 800 ლარით;
- ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად სამამულო ომის 9 მონაწილეს გაენია დახმარება 1800 ლარით (თითოეულს 200 ლარი) და შეძენილ იქნა 100 ლარის სასაჩუქრე პაკეტი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც არ არიან ჩართული სახელმწიფო პროგრამაში, მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად დახმარება გაენიათ 4 000 ლარით;
- ახალშობილთა ოჯახების დახ-

მარების პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 20 350 ლარი (121 ოჯახი);

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე ტრანსპორტით მომსახურებისთვის დახარჯულია 485 ლარი;
- მარტოხელა მშობლების ფინანსური დახმარებისთვის გაიცა 2200 ლარი (11 პიროვნება);
- მარტოხელა მოხუცებისთვის და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის სათბობი მასალის შესაძენად დახარჯულია 10050 ლარი. მოახლოებულ ზამთრის სეზონთან დაკავშირებით უკვე შეძენილია 60 კუბური მეტრი საშუალო მერქანი, რომელიც უახლოეს მომავალში დარიგდება.
- ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი შეადგენს 500 ლარს;
- სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების პირველი კატეგორიის მქონე 19 ოჯახს გა-

ენია დახმარება 26 050 ლარის ოდენობით (მათ შორის, ხანძრის შედეგად დაზარალებული 4 ოჯახი, სხვა ბუნებრივი მოვლენის შედეგად დაზარალებული 10 ოჯახი, სიძველის შედეგად დაზარალებული 5 სახლი);

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა 14 500 ლარი. აქედან 10000 ლარით სოფელ ნიფში მცხოვრებ პაატა შველიძის მრავალშვილიანი ოჯახისთვის შეძენილ იქნა კაპიტალური სახლი, ხოლო 4500 ლარი მიიმართა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად (3 ოჯახი).
- მიმდინარე წლის 9 თვეში ა(ა)იპ „სათნოების სახლს“ ბენეფიციართა კვებაზე გაწეული აქვს 25 711 ლარის ხარჯი, ბენეფიციართა კვებასთან ერთად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სასადილო ეხმარება საკვები პროდუქტით და ამ მიმართულებით 26 ოჯახისთვის გაწეული დახმარება შეადგენს 1945 ლარს.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15, ტელ: 22-32-25; ტირაჟი 1500 ცალი

ლიკავი: ქაა შპსიქი; ტელ.: 595-51-98-12